ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XXIV

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

გამოცემა ეძღვნება
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის
დაბადებიდან 90
და აღსაყდრებიდან 45
წლისთავს

* * *

The Publication is Dedicated to the
90th Birthday of Catholicos-Patriarch of All Georgia
Ilia II
and the
45th anniversary of His Enthronement

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre
ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა ანთოლოგია

ტომი XXIV

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

დიდი პარასკევის საგალობლები

მაცხოვრის ვნებათა მსახურება
(„ქართული პასიონი“)

(I ნაწილი)

Georgian Chant Anthology

Volume 24

The Chant Tradition of Western Georgia

The Chants of Great Friday

The Service for the Passion of Christ
(The Georgian Passion)
(Part I)

თბილისი
Tbilisi
2022

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

უაკ (UDC) 783(082)

ანთოლოგიის XXIV—XXV ტომებში წარმოდგენილია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში და, ასევე, ქორიძის გამოცემებში მოცემული დიდი პარასკევის საგალობლები — ამ დღის ლიტურგიკულ განგებათა ყველა ჰიმნი, ღვთისმსახურების „სრულიად გალობით“ შესასრულებლად. ხსენებული ხელნაწერები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრებში. XXIV—XXV ტომებში წარმოდგენილ ჰიმნთა აბსოლუტური უმრავლესობა პირველად გამოიცემა. ამ ტომებში, ასევე, შესულია, ანთოლოგიის შემდგენელ-რედაქტორთა მიერ შესაბამის მელოდიურ დედნებზე, სამგალობლო ტრადიციის შესაბამისად გაწყობილი ნიმუშებიც (მაგ., ძლისპირების გარდასათქმელები, წარდგომათა ფსალმუნის მუხლები და ა.შ.). დიდი პარასკევის სრული სამგალობლო ციკლი, ქართული მუსიკის ისტორიაში პირველად გამოიცემა.

Presented in Anthology Volumes 24-25 are the chants of Great Friday shown in the manuscripts by Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, as well as in Koridze's published scores in order to fully sing this day's liturgical services. These manuscripts are kept at the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts and Anzor Erkomaishvili Folklore State Center. The absolute majority of these chants is being printed for the first time. There are also some works (for example, heirmois, troparia, prokeimenon Psalm verses, etc.) in the present volume that have been arranged by anthology editors to the corresponding original melodic sources in agreement with the chant tradition. The complete chant cycle of Great Friday is being published for the first time in the history of Georgian music.

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XXIV ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compilers and musical editors of Volume 24: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორი: რუსუდან წურწუმია
Editors: Rusudan Tsurtsumia

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი
Translator: Eirik Halvorson

გამოცემაზე მუშაობდნენ: თამარ ჩხეიძე, მონოზონი ნინო სამხარაძე, ნინო რაზმაძე, ელიზბარ ხაჩიძე
The publication was prepared by: Tamar Chkheidze, Nun Nino Samkharadze, Nino Razmadze, Elizbar Khachidze

კონსულტანტები: არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, გიორგი ბარკავა
Consultants: Archdeacon Demetre Davitashvili, Giorgi Barkava

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Computer services: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი: ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre
© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802-100-95-4 (ყველა ტომის)
ISMN 979-0-802-101-82-1 (ოცდამეოთხე ტომის)

მაცხოვრის ვნებათა ძველი ქართული მისტერია-პასიონი

ანთოლოგიის წინამდებარე, XXIV და XXV ტომებში მოცემულია დიდი პარასკევის საგალობელთა ციკლი, რომელსაც, მუსიკოლოგიურ ლიტერატურაში, ხშირად „ქართულ პასიონსაც“ უწოდებენ ხოლმე.

ქრისტიანული ხედვით, ღვთისმსახურება მატერიალური, ფიზიკური არსებობისა და ღვთაებრივი, იდეალური რეალობის სინთეზის, თანაზიარების მიღწევის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა. ამ სინთეზის განსაკუთრებული ინსტრუმენტია მუსიკა, რომელიც ღვთაებრივთან ადამიანის მიახლების ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილ საშუალებას წარმოადგენს. რაღა თქმა უნდა, ქრისტიანული სწავლებით, უშუალო და უმწვერვალესი ზიარება ღვთაებრივ არსთან, საეკლესიო საიდუმლოების მეშვეობითაა შესაძლებელი, ამასთან, საეკლესიო ხელოვნების სხვადასხვა დარგი (და გამორჩეულად — გალობა) ამ საკრამენტების აღსრულებაში უშუალოდ მონაწილეობენ, და ამდენად, მეტად მნიშვნელოვანნი არიან.

აქედან გამომდინარე, უფალ იესოს ვნებათა გადმომცემი დიდი პარასკევის ლიტურგიკულ-მუსიკალური ციკლი წარმოადგენს კონკრეტული ისტორიული მოვლენის (იესო ქრისტეს წამება-ჯვარცმისა) და მარადისობის, ღვთაებრივისა და ადამიანურის, რეალურისა და იდეალურის თეოლოგიური, ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური ერთიანობით აღბეჭდილ მისტერიას, რომლის აღსრულებისას, იშლება დროითი და მატერიალური საზღვრები და მისი შემსრულებელი თუ მსმენელი ადამიანები მიეახლებიან იმ მღელვარე და ტრაგიკულ დღეებს, როდესაც აღესრულა მაცხოვრის მარადიული მსხვერპლი. ბუნებრივია, მისტიკურობითა და განცდების სიმძაფრით აღბეჭდილია ამ მისტერიის შემადგენელი ყველა სეგმენტი — იგი მოიცავს სახარებისა და სხვა ბიბლიური წიგნების ფსალმოდიურ-რეჩიტაციული კითხვას, მუზიცირებას, მღვდელმოქმედებით ქმედებებსა და ლოცვებს.

ქართული მუსიკალური კულტურის საყოველთაოდ ცნობილი სიმდიდრის ერთ-ერთი ილუსტრაციაა ისიც, რომ ჩვენ ამ მუსიკალური მისტერიის, რელიგიურ-ლიტურგიკული დრამის სრული ვერსია მოგვეპოვება, რომელიც, საუკუნეების სიღრმიდან მოვიდა ჩვენამდე[1] და რომელიც, შუა საუკუნეების ასკეტური და არქაულ-მინიმალისტური მუსიკალური ენით გადმოსცემს გოლგოთის ქარიშხლიანი ღამის განცდებსა და მხატვრულ-თეოლოგიურ ჭვრეტას.

[1] რასაც დამაჯერებლად ადასტურებს მონოზონ ნინო სამხარაძის ნაშრომი (იხ. სამხარაძე, 2019). უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. სამხარაძის ხსენებული ნამუშევარი პირველი ფუნდამენტური მუსიკოლოგიური კვლევაა, რომელიც ეძღვნება „შეხვეტილიანის“ მუსიკალურ ციკლს, მისი შემადგენელი აღსავლებისა და დასდებლების აგებულებას და კომპოზიციურ ანალიზს. ნაშრომში პირველადაა განხილული „შეხვეტილიანის“ პოეტური ტექსტის ქართული თარგმანები, პოეტური ტექსტების მიმართება მუსიკალურთან, პირველადაა გაანალიზებული ეს ციკლი, ქართული ლიტურგიის განვითარების ისტორიულ ეტაპებთან მიმართებაში; პირველადაა დანახული და დამაჯერებლად წარმოჩენილი ერთიანობა „შეხვეტილიანის“ XI—XX საუკუნეების ხელნაწერებისა და დასაბუთებულია ამ ციკლის უწყვეტი მემკვიდრეობითობა 10-14 საუკუნის მანძილზე. ფასდაუდებელია ჰდიდი პარასკევის ჰიმნთა თარგმანის გიორგი მთაწმიდელისეული ანდერძის საბოლოო და ყველაზე სრულყოფილი ახსნაც. შესაბამისად, წინამდებარე შესავალში და XXIV—XXV ტომებში, ჩვენ არაერთგზის ვახსენებთ და ვეყრდნობით ნ. სამხარაძის კვლევას.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

ალბათ, შუა საუკუნეების ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარში, არ მოიძებნება უფრო გულწრფელი, ადამიანური, განცდის სიღრმითა და მხატვრული სიმართლით ისე აღსავსე ტექსტები, როგორიც დიდი პარასკევის ჰიმნებია.[2] ლაზარეს აღდგომის გამო, პალმის რტოებით მიგებებისა და საყოველთაო დიდების მერე — საყოველთაო უარყოფა და სისასტიკე; ერთი უახლოესი მეგობრის მიერ გაცემა, ხოლო სხვა მეგობრებისგან — სულმოკლეობა, მიტოვება, შიში და ღალატი; უსამართლო სამსჯავრო, გოლგოთა, წამება და რაც არანაკლებ მტანჯველია — მარტოობა ადამიანთა ბოროტების და სასტიკი სახელმწიფო მანქანისა და მმართველთა წინაშე; უმწეოდ დარჩენა აზვირთებული წუთისოფლის ღვარცოფიანი ტალღების პირისპირ; უნუგეშო მარტოხელა დედა — რამოდენიმე დობილთან და ერთადერთ ერთგულ მეგობართან ერთად; მძიმე ჯვრის ზიდვა და მწარე ტანჯვით სიკვდილი; უსამართლობის უტიფარი ზეიმი სიკეთესა და ჭეშმარიტებაზე; დასაფლავება უკიდურესი გაჭირვებით; დედის გლოვა და უნუგეშო მონატრება; დაკარგული, გამქრალი სიცოცხლე და სიყვარული; დაკარგული ადამიანი... დიდი პარასკევის მძიმე და ტრაგიკული დღის სახარებაცა და საგალობლებიც ამ დრამატულ მოვლენებს გადმოგვცემენ და შუა საუკუნეების (და სამწუხაროდ, ყველა ეპოქის) ადამიანების ცხოვრებას ეხმიანებიან. ამიტომ, ყველაზე ემოციურ, არაცნობიერ, ირაციონალურ მიზიდულობას იესოსკენ — ნებსით და უდანაშაულოდ წამებული ადამიანისა და ღმერთისაკენ, სწორედ მისი ჯვარცმა და ვნებანი წარმოადგენდა მუდამ. თანაგრძნობა და სიკეთე, ადამიანის მდგომარეობაში შესვლა, ჭვრეტა, სინანული, ლმობიერება და სიყვარული — ეს განცდები სურს ღმერთს ჩვენში და ჩვენგან და სწორედ ამიტომ გაიარა ასეთი გზა, რათა შევძლოთ, როგორც მისი, ისე თითოეული ადამიანის ბედის თანა-განცდა, თანალმობა და თანადგომა; გაგება და შეყვარება... როგორც ფილოსოფოსნი ამბობენ, იესოს ჯვარი პასუხია ამ წუთისოფლის და თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრების ტკივილებსა და უსამართლობაზეც — ვინაიდან, მან არ შეცვალა დროის და მატერიის ფიზიკური მდინარება ისტორიაში, მაგრამ, შემოვიდა დროსა და მატერიაში და თავადაც ჩვენი ბედი გაიზიარა — თითოეული ადამიანის ტკივილი იტვირთა და ამით გვაჩვენა გზა და გამოსავალი ცხოვრების კოლიზიებიდან — ისევ და ისევ, სიყვარული, სიკეთე და თანაგრძნობა.

ცხადია, დიდი პარასკევის საგალობელთა ტექსტებიც და მუსიკაც ამ განცდებმა დაბადეს. ამ ეთოსითა და აფექტებითაა გამსჭვალული მაცხოვრის ვნებებისადმი მიძღვნილი საღვთისმსახურო მუსიკა ყველა დროსა და ტრადიციაში, ყველა ქვეყანასა და ადგილობრივ ეკლესიაში.

ადამიანურისა და ღვთაებრივის ასეთმა ერთობლიობამ, სინთეზურმა განცდამ, უბრალო ადამიანის ცხოვრებისეული გზისა და ღმერთის ამქვეყნიური ცხოვრების ასეთმა თანა-განმსჭვალვამ, ადამიანურ ტკივილსა და განცდებზე ასეთმა აქცენტმა, ადამიანურის მნიშვნელობის ასეთმა გააზრებამ და მისმა განზოგადებამ წარმოშვა

[2] გამორჩეული პოეტიკისა და ესთეტიკის გამო, საჭიროდ მივიჩნიეთ დიდი პარასკევის მთელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის პოეტური ტექსტის გამოქვეყნება — მუსიკალური პარტიტურის შემდეგ, XXV ტომის დამატებაში.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

კიდეც საბოლოოდ, ქრისტიანული ჰუმანიზმი და მოიტანა ქრისტიანული რენესანსი და კულტურის არნახული აყვავება მომდევნო საუკუნეებში.

ამდენად, მაცხოვრის ვნებების ლიტურგიას, ამ არქაულ პოეტურ-მუსიკალურ დრამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული კულტურის, ჰუმანიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის განვითარებისათვის. საუკუნეების მანძილზე, სწორედ ვნებათა, პასიონების ჰიმნები აძლევდა ადამიანურ გონს და განცდას იმპულსს უკეთესის შექმნისა და სიკეთის გზაზე სვლისათვის.

* * *

ცხადია, რომ ამა თუ იმ მხატვრული იდეის მუსიკალური განსხეულებისას, მუსიკალური გამომსახველობის სიმძაფრე, მუსიკალურ-მხატვრული ენა და გამომსახველი საშუალებები განსხვავებულია სხვადასხვა ეპოქებსა და ქვეყნებში. წინამდებარე კრებულში მოცემული ძველი ქართული „პასიონისაგან“ (მანანა ღვთისიაშვილი) ჩვენ არ უნდა ველოდეთ ისეთსავე ემოციურ-ექსპრესიულ მეტყველებას, როგორც ეს ბახის პასიონებს, ან სხვა ეპოქების ევროპელ კომპოზიტორთა მუსიკას ახასიათებს. შუა საუკუნეობრივი არქაულობისა და მეორე მხრივ — მართლმადიდებლური მუსიკალურ-ლიტურგიკული აზროვნებისა და ესთეტიკის თავისებურებებისა და ისტორიის გამო. XXIV—XXV ტომებში მოცემულ საგალობელთა მუსიკალური გამომსახველობა ბევრად ასკეტური, ლაკონიური და განცდათა დაფარული, შიდა შრეების შემცველია. დიდი პარასკევის მუსიკალურ ციკლში ვხვდებით ისეთ ჰანგებსაც, რომლებიც, შესაძლოა, ყოველდღიური ღვთისმსახურების, ან, სულაც, სააღდგომი ლიტურგიის შემადგენლებიც იყვნენ (ისევ და ისევ, შუა საუკუნეთა ლიტურგიკული მუსიკის კომპოზიციური და პედაგოგიური პრინციპების გამო, რომელთაც, ბევრწილად, ზუსტი მუსიკალური დამწერლობის არქონაც განაპირობებდა). პრინციპში, მსგავსი მოგზაურობა მელოდიების, ინტონაციური ნაგებობის და ამა თუ იმ აფექტის გამომსახველი სტერეოტიპული კომპოზიციური სტრუქტურებისა, ყველა დროის, ავტორისა და ჟანრის ნაწარმოებში გვხვდება. ამასთან, ქართული გალობის ბედმა ისიც განაპირობა, რომ დიდი პარასკევის „პასიონური“ ციკლის ბევრი ჰიმნი, XIX—XX საუკუნეებამდე მხოლოდ პირველი ხმის ნოტირებული მელოდიების სახით მოვიდა — ფ. ქორიძე ჩქარობდა, რათა შუა საუკუნეთა სიღრმიდან მომავალი, რაც შეიძლება, ბევრი უნიკალური სამგალობლო მელოდია გადაერჩინა. ამ საგალობელთა ნაწილს ხმები რ. ხუნდაძემ შეუწყო — მისი მემკვიდრეობის დიდი ნაწილისათვის ჩვეული „სადა“ ესთეტიკით (ასეთ, მხოლოდ მელოდიის სახით დაფიქსირებულ არცთუ მცირე რაოდენობის ჰიმნს კი, XXIV—XXV ტომებში, ჩვენ შევუწყეთ II—III ხმები). ამდენად, დიდი პარასკევის ქართულ „პასიონთა“ მუსიკალური ფაქტურა და მისი ემოციური ფერადოვნება, სამწუხაროდ, რამდენადმე „გაფერმკრთალებული“, უნიფიცირებული, განზოგადებულია... ისიც უნდა ითქვას, რომ, სავარაუდოდ, დიდი პარასკევის

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

სამგალობლო განგების ხანგრძლივობისა და მრავალნაწილიანობის (XXIV—XXV ტომებში 247 ჰიმნია!) გამო, რომელსაც კიდევ უფრო აგრძელებდა ცისკრის ჟამზე ვნების 12 სახარების ფრაგმენტის (რომელთაგანაც პირველი მოიცავს სახარების 3 თავს) კითხვა, ქართული „პასიონის“ ჰიმნთა უმრავლესობა სილაბურ ან ნევმატურ მელოდიკას ეყრდნობა და რეჩიტატიული ნაგებობების სიმრავლით გამოირჩევა.

ამ ფაქტორთა მიუხედავად, დიდი პარასკევის სამგალობლო ციკლის მუსიკალური გამომსახველობა, უდავოდ ფენომენალური, ღრმა, და მდიდარია. ტექსტების თეოლოგიური — ქრისტოლოგიური, მარიოლოგიური, სოტეროლოგიური და მეორე მხრივ, მხატვრულ-ემოციური მრავალშრიანობა, საგალობელთა მუსიკაში კიდევ უფრო მრავლისმეტყველად და გულში ჩამწვდომადაა აჟღერებული და ფორმად-ქმნილი. პრაქტიკულად, წინამდებარე „პასიონის“ სახით, ჩვენ საქმე გვაქვს, არქაული მხატვრული ენით შესრულებულ, მაცხოვრის ვნებათა გრანდიოზულ ფრესკასთან, რომლის შემადგენელი მცირე ნაწილები, როგორც მოზაიკა, ან „თაღთა შეკონება“, საოცარ ერთიანობასა და მშვენიერებას ქმნიან. თითოეული ჰიმნი, რაც უნდა მცირე იყოს იგი, სრულყოფილ მუსიკალურ შედევრს წარმოადგენს, მთლიანად ციკლი კი, საბოლოოდ, მუსიკალური განხორციელებაა მაცხოვრის ჯვარცმის მარადიული მისტერიისა.

დიდი პარასკევის „პასიონური“ მუსიკალური ციკლი რამდენიმე საღვთისმსახურო განგების მანძილზე სრულდება — ცისკარზე, სამეუფო ჟამებზე, მწუხრზე და სერობაზე.

თანამედროვე ქართულ მუსიკოლოგიაში ყველაზე ცნობილია, ამ დღის გალობათა პირველი, ციკლური ნაწილი — „შეხვეტილიანი“.[3] სამეცნიერო ლიტერატურაში მაცხოვრის ვნებათა ამსახველს მუსიკალურ ციკლად, ხშირად მხოლოდ „შეხვეტილიანი“ მოიაზრება (ალბათ, იმიტომ, რომ დიდი პარასკევის განგებებიდან, მხოლოდ ისაა სრულად და ერთიანი ციკლის სახით ნოტირებული XIX—XX საუკუნეებში). მას არაერთი კვლევა მიეძღვნა და „ქართული პასიონის“ ქვეშ, სწორედ „შეხვეტილიანს“ გულისხმობენ ხოლმე. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, უპირველესად, მანანა ღვთისიაშვილის ნაშრომი (ღვთისიაშვილი, 1999) უნდა დავასახელოთ, რომლის მეშვეობითაც პირველად გაეცნო ქართული საზოგადოება საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენამდე მოსულ, მაცხოვრის ვნებების ამსახველ ამ მუსიკალურ მისტერიას. სწორედ მანანა ღვთისიაშვილს ეკუთვნის პირველი მითითებანი „შეხვეტილიანში“ გამოვლენილ „პასიონურობაზე“. „პასიონურობა“ ქართულ მუსიკოლოგიაში (მანანა ღვთისიაშვილი, ნანა ქავთარაძე, რუსუდან წურწუმია და სხვ.) წარმოჩენილია, როგორც ეროვნული მსოფლმხედველობისა და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი იმანენტური თვისება, არქეტიპი, რომელიც ძველ და ახალ ქართული მუსიკაში მუდმივად ვლინდება — სხვადასხვა ინტონაციური, ჟანრული თუ კომპოზიციური ფორმით.

[3] ვარაუდობენ (სამხარაძე, 2019) ამ ტერმინის და მისი ეტიმოლოგიის ორ გაგებას: 1. მაცხოვრის „ხორცთა ხუეტის“, ვნება-წამების ამსახველი განგება; 2. მრავალფეროვან მხატვრულ ნაწარმოებთა ანთოლოგიის ტიპის ერთობლიობა. ამასთან ტერმინის ეს განმარტება მუსიკალური ხასიათისაა და გამოხატავს მრავალრიცხოვანი მელოდიებითა და სხვადასხვა ლიტურგიკული ფუნქციის მქონე საგალობლებით შედგენილ ციკლს.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

არადა, უნდა ითქვას, რომ „შეხვეტილიანი“ დიდი პარასკევის ციკლის მხოლოდ ერთ (15 აღსავლისაგან, „მომიხსენენისა“ და მისი დასდებლებისა და სახარების წარდგომისაგან შემდგარ) ნაწილს მოიცავს (წინამდებარე კრებულში №11—100). „შეხვეტილიანის“ დასასრულს რ. ხუნდაძე აღნიშნავს (Q686:62v) „აქ გათავდა შეხვეტილიანი, იწყება საგალობელნი. ამ დიდი პარასკევის საგალობელის, რომელსაც, ყველას ერთად, „შეხვეტილიანი“ ჰქვია, ამის მცოდნე მგალობელი ახლა აღარ არის. დიდებული საგალობლებია და მშვიდი. განსვენება და სასუფეველი ქორიძეს და ან. დუმბაძეს ამის დაწერისთვის. რ. ხუნდაძე“. როგორც ჩანს, „საგალობელნი“, ანუ, ცისკრის ჟამის, ჟანრულად „ჩვეულებრივი“ ჰიმნები — „გალობანი“, დასდებლები და ა.შ., „შეხვეტილიანში“ არ შედის; მაგრამ, ისინი, ლიტურგიკულად, შინაარსობრივად და მუსიკალურად, მიეკუთვნებიან დიდი პარასკევის ვნებათა მსახურებას. ამდენად, ვნებათა ციკლის ქვეშ, მხოლოდ „შეხვეტილიანი“ ნამდვილად არ უნდა მოვიაზროთ. ვნების (ცისკარი, სამეუფო/დიდი ჟამები[4]), გარდამოხსნის (დიდი პარასკევის მწუხრი) და ღვთისმშობლის დატირების (დიდი პარასკევის ცისკარი) მუსიკალურ-ლიტურგიკული ციკლები დიდ პარასკევს აღესრულება და ერთ მთლიანობას წარმოადგენენ.

* * *

ლიტურგიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ ცალკეული საღვთისმსახურო განგებები — წირვა, მწუხრის, ცისკრისა და სხვა ჟამები, სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო რიტუალები, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და იღებდა თანამედროვე სახეს. ამასთან, ქრისტიანული ღვთისმსახურების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა მოახდინა, როგორც ებრაულ-პალესტინურმა ღვთისმსახურებამ და კულტურამ, აგრეთვე — ანტიკური სამყაროს სხვა, განსაკუთრებით — ბერძნულ-რომაულმა კულტურებმაც. ეს, რა თქმა უნდა, ეხება მაცხოვრის ჯვარცმის გახსენება-აღნიშვნის ლიტურგიკულ განგებასაც — დიდი პარასკევის ცისკრის, სამეუფო, მწუხრისა და სერობის ჟამებს. ვნებათა მსახურების საფუძველი, როგორც ჩანს, გახდა, ერთი მხრივ, როგორც წირვის შემთხვევაში — იერუსალიმში სოლომონის ტაძრისაკენ ფსალმუნთა გალობების თანხლებით მსვლელობა, ხოლო, მეორე მხრივ — ანტიკური სამყაროსათვის, განსაკუთრებით, ბერძნული ტრაგედიისათვის აგრერიგად დამახასიათებელი მსვლელობები ქოროსა და დეკლამაციის თანხლებით.

I—VII საუკუნეების ლიტურგიის ამსახველი წყაროებისა და მათდამი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ დიდი პარასკევის მსახურების II—III საუკუნეებში დაწყებული ფორმირების პროცესი, V—VI საუკუნეებში უკვე დასრულებულია და ამ დროისათვის ეს ლიტურგიკული განგება უკვე ჩამოყალიბებული სახისაა (სამხარაძე, 2019). ლიტურგიის განვითარების ამ პერიოდს

[4] სამეუფო ჟამების „ათორმეტთაგან“ ტროპრებში „შეხვეტილიანის“ რიგი საგალობლები მეორდება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

მკვლევარნი, იერუსალიმულს უწოდებენ. ისტორიულ წყაროებიდან თუ სამეცნიერო კვლევებიდან, ცნობილია ამ პერიოდის დიდი პარასკევის მსახურების სტრუქტურა და თავისებურებები — სამგლოვიარო პროცესია მოძრაობდა იერუსალიმის ქუჩებში ლოცვა-გალობით და დროდადრო ჩერდებოდა მაცხოვრის ვნებებთან დაკავშირებულ ადგილებზე, სადაც ხდებოდა ამ ადგილებთან დაკავშირებული ვნებების ამსახველ სახარებათა ფრაგმენტების კითხვა და საგალობლების გალობა. მონოზონი ნინო სამხარაძე დაწვრილებით წარმოგვიდგენს (სამხარაძე, 2019) IV—X საუკუნეების ძეგლებში „ეგერიას მოგზაურობაში“, იერუსალიმური ლექციონარის უძველეს — სომხურ და ქართულ რედაქციებში და ქრისტეს საფლავის ტიპიკონში ნაჩვენებ მონაცემებს, სადაც ასახულია, იერუსალიმში ახალ-ახალი ქრისტიანული ტაძრების აგებასთან ერთად, როგორ ემატებოდა დიდი პარასკევის სამგლოვიარო ლიტანიას „გაჩერებები“ და შესაბამისად — სახარებათა ფრაგმენტები და საგალობლები. ქართულ ლექციონარებში, საგალობელთა ძველ რეპერტუარს (ანტიფონები, ფსალმუნები) უკვე დამატებული აქვს იბაკოები და მუხლდრეკის ლოცვები, რაც ლიტურგიის განვითარების ახალ ეტაპზე მიუთითებს V—VI საუკუნეებში.

ღვთისმსახურების, და მათ შორის, დიდი პარასკევის ცისკრის იერუსალიმური პრაქტიკა ფუნქციონირებდა აღმოსავლეთის ეკლესიებში, მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოშიც. სამწუხაროდ, წყაროებში არ ჩანს, თუ კონკრეტულად, როგორ აღასრულებდნენ ქართველები ამ ცისკარს უშუალოდ ქართულ ტაძრებსა და მონასტრებში; სად იმართებოდა მსვლელობები და სად ხდებოდა „გაჩერებები“ მაცხოვრის ვნებათა აღსანიშნავად. ვფიქრობთ, მცხეთასა და თბილისში უხვად შემონახული, და მთელ საქართველოში არსებული სახარებისეულ-პალესტინური ტოპონიმები ირიბი პასუხია ამ შეკითხვაზე. სასურველი იქნება, თუ ქართველ მეცნიერთა მომავალი კვლევის არეალში ეს საკითხიც მოექცევა. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ წყაროების უკიდურესი სიმწირის გამო, სამწუხაროდ, შესაძლებელია, ვნებათა მსახურების იერუსალიმური წესის აღსრულების ქართული პრაქტიკა, სამუდამოდ დაფარულ საკითხად დარჩეს ჩვენთვის. მნიშვნელოვანია იმის თქმაც, რომ არა მხოლოდ იერუსალიმური, არამედ ლიტურგიის კონსტანტინოპოლური პრაქტიკაც უხვად მოიცავდა ლიტანიებს, ლოცვით მსვლელობებს მთელი ქალაქის მასშტაბით. საქართველოში, სადღეისოდ, ლიტანიები მხოლოდ ტაძრის გარშემო აღესრულება, ისიც — აღდგომას და, ზოგჯერ, ტაძრის დღესასწაულებზე. ცნობილია, რომ ზოგიერთ საკულტო დღესასწაულზე, XX საუკუნემდე სრულდებოდა და ზოგან ჯერ კიდევ არის შემორჩენილი მსვლელობები, რელიგიური თემატიკის ფოლკლორული ნიმუშების თანხლებით. არადა, თანამედროვე ქრისტიანულ სამყაროში, როგორც მართლმადიდებლურ, ასევე, კათოლიკურ ქვეყნებში, სადღესასწაულო მსვლელობები მთელი ქალაქის ან სოფლის შემოვლით, ჩვეული მოვლენაა დღესაც. ამ მსვლელობაში საეკლესიო გუნდებთან ერთად, ხშირად ორკესტრებიც მონაწილეობენ (მათ შორის, მართლმადიდებლურ საბერძნეთსა და კვიპროსშიც). ინსტრუმენტული მუსიკის (საყვირზე დაკვრის) მონაწილეობა ქართველთა სარწმუნოებრივ-სადღესასწაულო

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

პროცესიებშიც დასტურდება (ამის შესახებ XVII-XVIII საუკუნეების კათოლიკე მისიონერთა ჩანაწერები მოგვითხრობენ). რელიგიური მსვლელობების ქართული პრაქტიკის ისტორიისა და მუსიკალური ასპექტების შესწავლა, ვფიქრობ, მეტად საინტერესო თემა იქნება მუსიკოლოგებისათვის.

ცნობილია და აღწერილია (სამხარაძე, 2019) ვნებათა მისტერიის აღსრულების განსხვავებაც იერუსალიმურ ლექციონარსა და უძველეს ქართულ იადგარებს შორის — იადგარებში უკვე ჩანს, რომ ვნებათა განგება ცისკრის ჟამშია ჩართული, განსხვავებით იერუსალიმურ ლექციონარში ასახული პრაქტიკისაგან, რომლის მიხედვითაც, ვნებათა მსახურება ლიტანია-მსვლელობის სახით იყო, ხოლო ცისკრის ჟამი მისი ბოლო „გაჩერებისა“ და ნაწილების შემდეგ, უკვე უშუალოდ ტაძარში აღესრულებოდა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის ეკლესიების დიდი პარასკევის მსახურებამ თანამედროვე სახე ლიტურგიის ისტორიის გარდამტეხ პერიოდში — X საუკუნის II ნახევრის საეკლესიო რეფორმის ზეგავლენით მიიღო (სამხარაძე, 2019). ამ პერიოდში იერუსალიმური პრაქტიკა კონსტანტინოპოლურმა სიახლემ ჩაანაცვლა. ცვლილება შეეხო როგორც ლიტურგიკული განგების აღსრულების ფორმას, ასევე, მის სტრუქტურასა და პოეტურ ტექსტებს — მსახურების ქუჩებში მსვლელობის ფორმა შეიცვალა ერთი ტაძრის სივრცეში აღსრულებული, ასე ვთქვათ, სტაციონარული ღვთისმსახურებით, სახარების საკითხავთა იერუსალიმური რიცხოვნება (5-7) შეიცვალა თორმეტით, ხოლო მათ შორის საგალობლების რიცხვი გაიზარდა — „შეხვეტილიანის“ ჰიმნები 15 მიკრო-ციკლური აღსავალის/ანტიფონის სახით ჩამოყალიბდა.

ქართველთა კულტურული განვითარების ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი თავისებურება კარგადაა შესწავლილი ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგში — ვგულისხმობთ, ჩვენი წინაპრების საოცარ გახსნილობას კულტურის სხვადასხვა ნაწილში მომხდარი ცვლილებებისა და სიახლეებისადმი, მათ მისწრაფებას, შეესწავლათ, დაუფლებოდნენ, გაეანალიზებინათ და შემდგომ — „გაექართულებინათ“, ქართულ სინამდვილეში გადმოეტანათ ყველა ის კულტურული, თეოლოგიურ-ლიტურგიკული, ფილოსოფიური, სამეცნიერო თუ სახელოვნებო სიახლე, რაც დანარჩენ სამყაროში ხდებოდა, და შეემატებინათ მათთვის საკუთარი შრომის შედეგებიც.

ასევე მოხდა დიდი პარასკევის ლიტურგიის შემთხვევაშიც — კონსტანტინოპოლური რეფორმის შედეგად სახეცვლილი მაცხოვრის ვნებათა მსახურება ქართველებმა მალევე — X საუკუნის 80—90-იან წლებში დანერგეს ქართულ ლიტურგიაში. ამ საქმის სათავეში დგანან ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ექვთიმე ათონელი და გიორგი მთაწმიდელი. ნ. სამხარაძის ზემოხსენებულ კვლევაში ნაჩვენებია, რომ **„შეხვეტილიანი“-ს დღევანდელი ვერსია წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ და დამკვიდრებულ ციკლს, რომელიც, მცირეოდენი ცვლილებების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, XI საუკუნის ფორმებითაა მოსული ჩვენამდე** (სამხარაძე, 2019). ქართული მუსიკისა და ლიტურგიისათვის მნიშვნელოვანი ეს დებულება მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურის, უძველესი ხელნაწერების: —

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

იერუსალიმური ლექციონარის სხვადასხვა რედაქციების (VI—VII ს.), უძველესი იადგარის (VII—IX ს.), X საუკუნის იადგარის ნუსხების, XI საუკუნის ექვთიმე ათონელის რედაქციის მარხვანის და გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მარხვანის, აგრეთვე — ანტონ კათალიკოსის დროს დასტამბული მარხვანისა (1793 წ.) და „შეხვეტილიანის“ XIX—XX საუკუნეთა გასაყარზე შესრულებული სანოტო ჩანაწერები ანალიზის შედეგად. ცნობილია, რომ გიორგი მთაწმინდელმა „შეხვეტილიანში“ დატოვა ზოგიერთი ადრინდელი — ექვთიმე ათონელის თარგმნილი ჰიმნი და, რაც მნიშვნელოვანია — ანტონ კათალიკოსისეული რეფორმა (XVIII ს.) ლიტურგიკულ-სამგალობლო მემკვიდრეობისა, მცირედ შეეხო „შეხვეტილიანის“ პოეტურ ტექსტს და რომ იგი, ფაქტობრივად, XI საუკუნიდან, თითქმის უცვლელადაა XX საუკუნემდე მოსული.

ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტირებული „შეხვეტილიანის“ XI საუკუნიდან წარმომავლობის შესახებ, ტექსტოლოგიურ კვლევაზე დაფუძნებულ ამ დებულებას ამყარებს მონოზონ ნინოს კიდევ ერთი, ერთობ მნიშვნელოვანი დაკვირვებაც — ჰიმნოგრაფიული ტექსტების „განკვეთილობის“ ნიშნებსა და ნოტირებული საგალობლების მუსიკალური ცეზურების ურთიერთმიმართების შესახებ. შუა საუკუნეების ნევმირებულ თუ არანევმირებულ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში მუდამაა შეტანილი ნიშნები, რომლებიც, ერთი შეხედვით პუნქტუაციის ნიშნებს წარმოადგენენ, მაგრამ, მათგან განსხვავებით არა წინადადების წევრთა გრამატიკულ-ლოგიკურ ურთიერთობას, არამედ საგალობელთა მუსიკალურ ასპექტს ასახავენ. „შეხვეტილიანის“ ძველი ჰიმნოგრაფიული კოდექსებისა და სანოტო ჩანაწერების შედარების შედეგად, ნ. სამხარაძემ უმნიშვნელოვანესი დასკვნას გააკეთა — ძველ ტექსტებში მოცემული „განკვეთილობის“ ნიშნები საგალობლის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების — მუხლებისა და საქცევების საზღვრებს და, შესაბამისად, სხვადასხვა ინტენსივობის მუსიკალურ ცეზურებს გვიჩვენებენ. ამ დასკვნას, ნ. სამხარაძე სამართლიანი განზოგადებისაკენ გაჰყავს — ვინაიდან, XIX საუკუნეში ნოტირებული საგალობლების მუსიკალური ცეზურები ემთხვევა XI—XVIII საუკუნეების წყაროებში მოცემული იმავე ტექსტების „განკვეთილობის“ ნიშნებს, ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ მათში ერთი და იგივე მელოდიებია გრაფიკულად ასახული (ცხადია, მცირეოდენი ვარიანტული ცვლილებებით). ქართული გალობის ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ძველ მგალობელთა უმთავრეს საზრუნავს, ტრადიციული მელოდიების დაცვა და თაობიდან თაობაზე დაუკარგავად გადაცემა წარმოადგენდა. პრაქტიკულად, შუა საუკუნეების ქართველი მუსიკოსების ძალისხმევის უდიდესი ნაწილი, ასევე, ნევმებისა და „ჭრელების“ სისტემებიც, ნახევრად ზეპირი და იმპროვიზაციული მუსიკალური აზროვნების პირობებში უძველესი ჰანგების შენარჩუნება-გადაცემას ემსახურებოდა. შესაბამისად, სამეცნიერო კვლევების თანახმად, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ „შეხვეტილიანის“ მხატვრული, პოეტურ-მუსიკალური სტრუქტურა, X—XI საუკუნეებიდან მომდინარეობს (კვლავ — ვარიანტული სახეცვლილებებით).

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

აქვე, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ თუკი ანტონისეული რეფორმა არ შეეხო „შეხვეტილიანს“ — ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს „მარხვანისა“, მაშინ, ცხადია, რომ ის არ შეეხებოდა არც მთლიანად დიდი პარასკევის და ვნების კვირის საგალობლებს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ სტ. კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ მისი დაკვირვებით, შუა საუკუნეთა სამგალობლო-ნევმირებულ ხელნაწერებში „სასვენი [ცეზურები] და ხმის ტრიალი [მელოდიური მიმოხვრა] თითქმის [ყველგან] იქ მოდის, სადაც იმ [ნოტირებულ] საგალობლებში არიან ნაჩვენები... აი, ეს და სხვა მრავალი ნიშანი გვაძლევენ ყველა საბუთს ამ გალობის სიძველისას და არა იმას, რომ ახალი გამოგონილი იყოს“ (კარბელაშვილი, 1897:III). ჩვენი მრავალგზისი დაკვირვებითაც, საღვთისმსახურო-სამგალობლო წიგნებში მოცემული განკვეთის ნიშნები და ნოტირებულ საგალობელთა მუსიკალური ცეზურები, უმრავლეს შემთხვევებში ემთხვევა. დიდი პარასკევის „შეხვეტილიანის“ გარდა ამ მიმართულებით ღრმა კვლევა არ ჩატარებულა. ვფიქრობთ, ასეთის შემთხვევაში, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, „შეხვეტილიანის“ მსგავს შედეგს მივიღებთ — უწყვეტ მემკვიდრეობით ჯაჭვს, რომელიც 9—10 საუკუნეს და დამატებით, მინიმუმ, „უფროის ოთხასისა წლისა“ ითვლის.

ვფიქრობთ, ეს გარემოება, ერთი-ორად მატებს ანთოლოგიის XXIV—XXV ტომებს მნიშვნელობას.

* * *

დიდი პარასკევის ვნებათა მისტერიის დასავლურ ქართული ტრადიციის საგალობლები დაფიქსირებულია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში.[5] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი საგალობელი, ფ. ქორიძემ მხოლოდ I ხმის მელოდიის სახით ჩაწერა. ხელნაწერებში ჩანს, რომ ზოგიერთ ჰიმნთან, თავად ქორიძეს აქვს მიწერილი შემოქმედის სკოლისათვის ტიპური, პოლიფონიური ვერტიკალური, ჰორიზონტალური თუ დიაგონალური აზროვნებით და, იმავდროულად, არქაული კვინტური-ოქტავური და კვინტურ-ნონური ჰეტეროფონიული სეგმენტებით გამორჩეული ფაქტურა (მაგ., იხ. №11) — სავარაუდოდ, ამ შუა საუკუნეობრივ სტილში გალობდნენ დიდი პარასკევის ციკლის ქორიძისთვის გადამცემელი ანტონ და დავით დუმბაძეები (ამას არაერთგზის წარმოგვიჩენს ანთოლოგიაში გამოქვეყნებული, დუმბაძისაგან ჩაწერილი მრავალი ჰიმნი). როგორც ჩანს, რ. ხუნდაძე, რომელიც, სრულ მგალობელთან ერთად, ლიტურგიკული პრაქტიკის მქონე მოქმედი მღვდელმსახურიც იყო, სპეციალურად, „სადა“ სტილში ამრავალხმიანებდა ქორიძის მიერ ნოტირებულ I ხმის საგალობლებს, რათა ჰიმნთა დიდი რაოდენობის გამო, მსახურება არ გაგრძელებულიყო. წინამდებარე

[5] აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის დიდი პარასკევის ჰიმნები, სამწუხაროდ, არასრული სახით, მცირე რაოდენობითაა ნოტირებული ძმები კარბელაშვილებისა და სხვათა მიერ. მათ ანთოლოგიის შესაბამის ტომებში გამოვცემთ.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

ტომში ჩანს, რომ ხშირად, ხუნდაძე, ამ მიზნით, ალტერნატიულ, მოკლე საკადანსო მუხლებსაც გვთავაზობს, ქორიძისეული ვრცელი მუხლების გვერდით. ერთი მხრივ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჰიმნთა კომპოზიციისა და ლიტურგიკული ფუნქციის ურთიერთ-დამოკიდებულება საგალობლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფორმადქმნადი ფაქტორია (სიტყვასთან და პოლიფონიურ აზროვნებასთან ერთად); ხოლო, მეორე მხრივ, უკვე ჩანს, რომ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, სამწუხაროდ, ქართველთა დამოკიდებულება ღვთისმსახურებისა და გალობისადმი იცვლება და შინაგანი ჭვრეტის ადგილს ახალი დროის ადამიანისათვის ჩვეული მოჩქარეობის სული იკავებს, რასაც, რ. ხუნდაძეც იძულებულია, გაუწიოს ანგარიში.

დიდი პარასკევის სხვადასხვა ჰიმნის ქორიძისთვის გადამცემნი, ზემოხსენებულ ანტონ და დავით დუმბაძეებთან ერთად, არიან დიმიტრი ჭალაგანიძე, არისტოვლე ქუთათელაძე, ივლიანე წერეთელი, რაჟდენ ხუნდაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე...[6]

ვნებათა მისტერიის საგალობლების შემცველი ხელნაწერები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრებში.

ანთოლოგიის XXIV—XXV ტომებში მოცემული დიდი პარასკევის „პასიონური“ ჰიმნები და მათი მელოდიური „დედნები“ (რომელთა შესახებაც, ქვემოთ ვსაუბრობთ) 38 სანოტო წყაროდანაა აღებული. ესენია:

ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან:

1. H154-I;
2. 154-II;
3. H154-III;
4. H154-VI;
5. H154-VIII;
6. H154-IX;
7. Q666;
8. Q668;
9. Q670;
10. Q672;
11. Q673;
12. Q674;
13. Q677;
14. Q679;
15. Q680;
16. Q681;
17. Q683;
18. Q684;
19. Q685;
20. Q686;
21. Q687;
22. Q688;
23. Q689
24. Q690;
25. Q691;
26. Q692;
27. Q693;
28. Q694;
29. Q1475.

[6] ამის შესახებ, უფრო კონკრეტულად, ქორიძისა და კერესელიძის სანოტო ხელნაწერებში და ქორიძის გამოცემებშია აღნიშნული. იხ. შუღლიაშვილი, 2013.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

ხელნაწერები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან:

1. ხუნდაძე, 2100;
2. ხუნდაძე, 2101;
3. ხუნდაძე, 2121;
4. ხუნდაძე, 2122.
5. ხუნდაძე, 2123;
6. ხუნდაძე, 2124;
7. ხუნდაძე, 2127;
8. ხუნდაძე, 2128.

სანოტო გამოცემები:

1. ქორიძე, 1899.

როგორც აღვნიშნეთ, დიდი პარასკევის განგებები, თავიდან ბოლომდე, მთლიანი თანმიმდევრობის სახით, არც ერთ ხელნაწერში არაა თავმოყრილი. ხელნაწერებში Q686 და ხუნდაძე, 2128, სრული სახითაა მოცემული „შეხვეტილიანი“. ზოგიერთ ხელნაწერში დიდი პარასკევის ცისკრის ან მწუხრის ცალკეული ჰიმნები ან მათი ჯგუფებია მოცემული. ჩვენ, „მარხვანის“ მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი 38 წყაროდან თავი მოვუყარეთ ამ მასალას და ერთიანი ციკლის სახე მივეცით — ისე, როგორც ის იგალობებოდა საუკუნეების მანძილზე, XIX საუკუნემდე. ისიც აღსანიშნავია, რომ, როგორც XXII—XXIII ტომების შემთხვევებში, დიდი პარასკევის ზოგიერთი ჰიმნიც სრულად, სამ ხმაშია ჩაწერილი, ზოგის მხოლოდ I ხმაა ნოტირებული. გვხვდება საგალობლები, რომლებიც რამდენიმე ვარიანტის სახითაა შემორჩენილი, ზოგიერთი კი, მხოლოდ ერთ ვარიანტადაა შემონახული.

წინამდებარე და XXV ტომებში მოცემულია დიდი პარასკევის ყველა განგების — ვნებათა მსახურების ცენტრალური ნაწილის — ცისკრის, სამეუფო ჟამების, მწუხრისა და მცირე სერობის ყველა ჰიმნი. დიდი პარასკევის „სრული გალობით“ ჩატარების ტრადიციის (როდესაც, გუნდების მიერ ანტიფონურად იგალობებოდა ყველა ლიტურგიკული ტექსტი, გარდა სამღვდელო ლოცვა-ასამაღლებლებისა და ბიბლიური საკითხავებისა) აღდგენა, დღეისათვის, სავსებით შესაძლებელია

როგორც დიდი ხუთშაბათის შემთხვევაში, ამ ამოცანის შესასრულებლად, საჭირო გახდა, „მარხვანში“ მითითებულ მელოდიურ „დედნებზე“/წყაროებზე იმ საგალობლების კონტრაფაქტურის მეთოდით გაწყობა, რომლებიც სანოტო ხელნაწერებში შემონახული არაა.

ჩვენ, თითოეულ საგალობელთან, იმის მიუხედავად, ნოტირებულია იგი, თუ მხოლოდ „მარხვანში“ იყო მოცემული, აღვნიშნეთ „დედანი“ ჰიმნის „მარხვანისეული“ მითითება (სანოტო წყაროებითურთ) და ის, თუ რამდენად იდენტური, მეტნაკლებად მონათესავე, ან განსხვავებულია კონკრეტული ჰიმნი, „მარხვანში“ მითითებული მისი მელოდიური დედნისაგან.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

ამ თემასთან დაკავშირებით, კვლავ უნდა ვახსენოთ, მონოზონ ნინო სამხარაძის მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელშიც მასშტაბური კვლევაა ჩატარებული „შეხვეტილიანის“ „დედან-ჰანგების“ ირგვლივ. ირკვევა, რომ „შეხვეტილიანში“ „დედან-ჰანგები“ თავად გიორგი მთაწმიდელმა აღნიშნა — ანუ, მან მის მიერ ახლად თარგმნილი ვნებათა განგება მეორედ თარგმნა მიზანმიმართულად — მანამდე არსებულ ქართულ სამგალობლო მელოდიებზე გაწყობისა და ასე შესრულებისათვის. მონოზონმა ნინო სამხარაძემ, როგორც შუა საუკუნეების წყაროებში, აგრეთვე XIX—XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში მოიძია „შეხვეტილიანში“ მითითებული მელოდიური მოდელები — „დედან-ჰანგები“ და, ანთოლოგიის XXIV—XXV ტომების გამოცემამდე 3 წლით ადრე, ამ მხრივაც უწყვეტი მემკვიდრეობა დაინახა 9 საუკუნოვანი სამგალობლო ტრადიციისა: — სანოტო ჩანაწერებში მოცემული „შეხვეტილიანის“ ჰიმნების აბსოლუტური უმრავლესობა მართლაც გიორგი მთაწმინდელის მიერ მითითებული „დედანი“ საგალობლების ჰანგებზეა გაწყობილი. ეს გარემოება თვალსაჩინოა XXIV—XXV ტომებშიც, სადაც, აღნიშნული გვაქვს დედანი-ინვარიანტებისა და მათი კონტრაფაქტურული ვარიანტების ხშირი მსგავსება-მონათესავეობა და სულ რამდენჯერმე — განსხვავებულობა.

აქვე უნდა ვახსენოთ, დიდი პარასკევის განგებასთან დაკავშირებული გიორგი მთაწმიდელის ცნობილი ანდერძის[7] საბოლოო და დამაჯერებელი განმარტება ნინო სამხარაძის მიერ. როგორც იგი თავად აღნიშნავს, ეს ანდერძ-მინაწერი შესწავლილი აქვთ პ. კარბელაშვილს, თ. ჟორდანიას, კ. კეკელიძეს, ლ. ხევსურიანს, მ. სუხიაშვილს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი შინაარსის სრულყოფილი და ამომწურავი განმარტება, სწორედ ნ. სამხარაძის ნაშრომშია მოცემული. აქ წარმოჩენილია, რომ მაცხოვრის ვნებათა განგება, X—XI საუკუნეების ბერძნულ ეკლესიებში „თვით-ავაჯი“, ესე იგი, საკუთარი მელოდიების მქონე იყო. ეს განგება გიორგი მთაწმიდელს ორჯერ უთარგმნია. ნ. სამხარაძემ შეისწავლა ორივე თარგმანი, და დაადასტურა, რომ ცნობილ ანდერძ-მინაწერში, „უძლისპიროდ თარგმნილსა და უგემურად“ გამოსულ თარგმანში მთაწმიდელი გულისხმობს „შეხვეტილიანის“ I ვერსიას, რომელიც მან დიდ სვინაქსარში შეიტანა. ხოლო მთაწმიდელისეულ ავტოგრაფულ „მარხვანში“ წმიდა მამას შეუტანია II თარგმანი, რომელშიც, მან, ბერძნულის მსგავსად, „თვით-ავაჯი“, ე.ი., საკუთრივ „შეხვეტილიანისათვის“ განკუთვნილი ახალი, ორიგინალური მელოდიები კი არ შექმნა, არამედ, ისინი გაანაწილა ქართველთათვის უკვე კარგად ნაცნობ სხვადასხვა ჰანგზე, რომელთაგან ერთის — V ხმის შესახებ, წმიდა მამა ამბობს, რომ მას „400 წელი უფრო ახსოვს“, ე.ი. თუ მეტი არა, მინიმუმ, 400 წლის (ე. ი. ყველაზე გვიან, VI საუკუნის) არისო. მონოზონი ნინო სამხარაძე წარმოაჩენს, რომ V ხმის სულ 4 მოდელი-ჰანგია

[7] „ესე [„შეხვეტილიანის“ აღსავლები] უძლისპიროდ [ბერძნული მელოდიების მაჩვენებელი ძლისპირების გარეშე] გვეთარგმნეს და უგემურად მოჰვიდოდა. ბერძნულად თვით-ავაჯნია [ბერძნულ აღსავლებს ყველასგან განსხვავებული, საკუთარი ჰანგები აქვთ] და მათ [ბერძნებმა] იციან, და ჩვენ თუმცა ავაჯი [ორიგინალური, განსხვავებული, საკუთარი მელოდია] დაგვედვა, ვინ დაისწავლიდა? აწ შეწევნითა ღმრთისაითა [ცნობილ ქართულ] ძლისპირსა ზედა ვთარგმნეთ. რაიცა ძლისპირი მოუვიდოდის, რომელი ძუელთაგან ვიცით, იგი ეგრეთვე ითქმოდის და სხუაი ძლისპირთა ზედა, რომელიცა იყოს ბერძულად, დ გუერდი [VIII ხმა] არს ესე. წაედ, ეძიებდით, რვათამცა ხმათა შინა არს და კმარს ჩუენდა. თუ არა, ამას ა გუერდსა [V ხმის მელოდიებს] ოთხასი წელი უფრო ახსოვს“ (Ath. 38:320r).

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

„შეხვეტილიანის“ როგორც მთაწმიდელისეულ, აგრეთვე ნოტირებულ ხელნაწერებში: „მოვედით და აღვიდეთ“ (იხ. №11), „გიხაროდენ, ღმრთისმშობელო“ (იხ. №40), „ესმა მოსლვა“ (იხ. №13), „რომელმან შეიმოსე“ (იხ. №39; 41; 54; 55[8]) და ასკვნის: „სწორედ ჩამოთვლილ ძლისპირთა მელოდიები და მათზე შეფარდებული დასდებლები უნდა მივიჩნიოთ უძველეს ჰანგებად „შეხვეტილიანში“.

გიორგი მთაწმინდელის „მარხვანის“ ანდერძის ნ. სამხარაძისეული ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ექვთიმე ათონელისაგან განსხვავებით, გიორგი მთაწმიდელი სიტყვიერი ტექსტის თარგმნისას ნაკლებ თავისუფლებას იჩენდა, მაგრამ, ტექსტების მუსიკაზე დადებისას შემოქმედებით თავისუფლებას ავლენდა: — ზოგჯერ ბერძნული დედნის იხოსს ცვლიდა, ზოგჯერ — ახალი, ორიგინალური მელოდიების შექმნის ნაცვლად, უკვე არსებულ ჰანგებზე ანაწილებდა ახლად თარგმნილ ტექსტებს — პრაქტიკული (შესწავლა-გავრცელება) და მხატვრულ-ემოციური ასპექტების გათვალისწინებით[9] („უგემურად“ რომ არ მოსულიყო, ე.ი. ტექსტისა და მუსიკის სახეობრიობა ჰარმონიული რომ ყოფილიყო). ამასთან, გიორგი მთაწმიდელს შეეძლო ახალი მელოდიების შექმნაც, რასაც ზოგჯერ არ აკეთებდა, რადგანაც მათ „ვინ დაისწავლიდაო?“, ამბობს, ე.ი. საქართველომდე ვერ ჩამოვიდოდა ეს მელოდიები...

აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერის სრულყოფილ განმარტებასთან, მის მიერ შემოტანილი „დედან-ჰანგების“ იდენტიფიკაციასთან (სამხარაძე, 2019:136) და „შეხვეტილიანის“ ციკლში მათი ფუნქციონირების კვლევასთან ერთად, მონოზონი ნინო სამხარაძე, ასევე, გვიჩვენებს, რომ „შეხვეტილიანის“ 24 „დედან-ჰანგიდან“ მთაწმიდელის მიერ მხოლოდ 20-ია აღნიშნული, დანარჩენი 4 მოგვიანებით დაუმატებიათ. აღმოჩნდა, რომ XIX—XX საუკუნეების სანოტო ჩანაწერებში მხოლოდ 19 „დედან-ჰანგი“ იძებნება, ხოლო მათგან 5-ის მელოდია დაკარგულია. ამასთან, „შეხვეტილიანში“ შემონახული ყოფილა ამ 5 „დედან-ჰანგის“ მელოდიის მქონე დასდებლები, რომელთა მიხედვითაც, ნ. სამხარაძე გვთავაზობს, XIX საუკუნეში ვერ-ნოტირებული XI საუკუნისეული ნიმუშების მელოდიების აღდგენას.[10]

ცხადია, ნახევრად ზეპირი, იმპროვიზაციული ქმნადობა-გადაცემის და რთული ისტორიული მოვლენების პირობებში, როგორც ვნებათა მსახურებაში, ისე, ზოგადად, ქართულ სამგალობლო რეპერტუარში, ვხედავთ „დედან-ჰანგების“ ჩანაცვლების ან, ერთი და იმავე ჰანგის სხვადასხვა სიტყვიერი განმარტების შემთხვევას, აგრეთვე —

---

[8] №55 ჰიმნი გაწყობილია არა გიორგი მთაწმინდელის მიერ მითითებულ, V ხმის ტროპარის ჰანგზე „რომელმან შეიმოსე“, არამედ V ხმის დასდებელთა, „მოვედით და აღვიდეთ“-ის ჰანგზე. ცხადია, ეს ფაქტი მოგვიანო, ისტორიული ცვალებადობის გამოვლინებაა.

[9] ამავე ხასიათის ნამუშევარი და შენიშვნაა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფულ „პარაკლიტონშიც“ (Ath. 45), რომელიც მკვლევარმა ლ. ხევსურიანმა აღმოაჩინა და განმარტა. აქაც გიორგი მთაწმინდელს ახლად თარგმნილი შუაღამიანის დასდებლები, ბერძნულის მსგავსად, ახალ, საკუთარ, ორიგინალურ მელოდიაზე კი არა, ქართველთათვის ნაცნობ, ტრადიციულ „ავაჯზე“ გაუწყია, რადგანაც, არ იყო დარწმუნებული, რომ ახალი ჰანგის შექმნის შემთხვევაში, ის საქართველომდე ჩამოვიდოდა და გავრცელდებოდა (სამხარაძე, 2018:68).

[10] „ამაღლდა ზეცად“ (იხ. №32; 35; 42; 43; 74), „ვითარ-მე გხადოდით“ (იხ. №62); „კაცთათვის“ (იხ. №75); „ანგელოზთა დღეს“ (იხ. №83); „დაიძინა საფლავსა შინა“ (იხ. №85). ამ საგალობელთა „დედანი“ ძლისპირები, რომელთა ნოტირებული ვარიანტები არ შემოგვრჩა, წყაროებითურთ, დასახელებულია ნ. სამხარაძის ნაშრომში (სამხარაძე, 2019:136).

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

მოდელისა და დასდებლების, იმავე — ინვარიანტსა და მის ვარიანტებს შორის ვარიანტულ-კომპოზიციური ცვლილებების მაგალითებს.[11] „შეხვეტილიანში“ ასეთი მოვლენების შესახებ, დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ შეისწავლონ, როგორც ანთოლოგიის XXIV—XXV ტომები, ისე მონოზონი ნინო სამხარაძის ხსენებული ნაშრომი.

კონტრაფაქტურის მეთოდით საგალობლების გაწყობისას ჩვენ გამოვიყენეთ, როგორც ამ ჰიმნთა „მარხვანისეული“, ე.ი. ძირითადად, გიორგი მთაწმიდელისეული მითითებები „დედან“ ჰანგებზე, ისე, გარდასათქმელების შემთხვევაში — ძლისპირები. თუკი სხვა შემთხვევებში, უშუალოდ კონკრეტულად ჩვენ მიერ გაწყობილ საგალობელთან აღვნიშნავთ, თუ რომელია მისი მოდელი-ინვარიანტი, „დედანი“; გარდასათქმელების შემთხვევაში ამას არც ერთხელ არ ვაკეთებთ. წინამდებარე და XXV ტომებში მოცემული ყველა გარდასათქმელი (ცისკრისა და მცირე სერობის ჟამების „გალობანში“) ჩვენი გაწყობილია მათი ძლისპირების მუსიკაზე და დიდი რაოდენობის გამო, სქოლიოებში ამ გარემოებას აღარ ვუთითებთ.

იმ საგალობლებთან, რომელთა მხოლოდ I ხმაა ნოტირებული და II—III ხმები ჩვენი შეწყობილია, ყოველთვისაა სქოლიოში შესაბამისი აღნიშვნა. ამ სამუშაოს დიდი ნაწილი, XXIV—XXV ტომებში, ლევან ვეშაპიძის მიერაა შესრულებული — ზოგჯერ „გამშვენებული“, ზოგჯერ, „სადა“ სტილისათვის ნიშანდობლივი საკომპოზიციო ტექნიკის, მასთან, ზოგჯერ — ტრადიციული სამუსიკო ფოლკლორისათვის ჩვეული ფაქტურულ-ჰარმონიული ნაგებობების გამოყენებით (ცხადია, სამგალობლო ესთეტიკის კონტექსტში).

ანთოლოგიის XXII—XXV ტომებში ჩვენ მიერ გაწყობილ გარდასათქმელებში, ძველი ნიმუშების მსგავსად, ვცდილობდით გავქცეოდით გარდასათქმელების ზუსტ კოპირებას და შემოგვქონდა ვარიანტული მრავალფეროვნება — პოეტური ტექსტის დრამატურგიიდან გამომდინარე. აქვე, გავამახვილებთ ყურადღებას დიდი პარასკევის ცისკრის IX გალობის გარდასათქმელებზე (№122—125). ისინი ჩვენი გაწყობილია №121 ძლისპირის მუსიკაზე. ეს უკანასკნელი №119, „სადა“ სტილის ძლისპირის ჩვენ მიერ „გამშვენებულ“ სტილში გადამუშავებული ვარიანტია. ამასთან, პოეტური ტექსტის შინაარსიდან და განწყობიდან გამომდინარე, №122—125 გარდასათქმელებში გამოვიყენეთ ქართული გალობისათვის ჩვეული ტექნიკური ხერხი — კილოური კოლორიტისა და მუხლთა მიხრილობის ცვლილება. ეს მოვლენა ხშირია ქართულ საგალობლებში — როგორც ცალკეულ ჰიმნებში, ისე, ინვარიანტიდან ვარიანტების წარმოებისას. ამდენად, ამ შემთხვევაშიც, შესაძლებლად და საჭიროდ მივიჩნიეთ ასეთი კილოური ფერადოვნების შემოტანა.

* * *

[11] ასეთი ცვალებადობა-განვითარება ყველა ძველ მუსიკალურ ტრადიციას ახასიათებს, განსაკუთრებით, ზუსტი მუსიკალური დამწერლობის არ მქონე ისეთ სამგალობლო ტრადიციებს, როგორიცაა ქართული ან ბიზანტიური გალობა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

სულ ანთოლოგიის XXIV—XXV ტომებში დაბეჭდილია 247 საგალობელი, რომელთა უდიდესი ნაწილი (მათ შორის, „შეხვეტილიანიც“) პირველად ქვეყნდება.

XXIV—XXV ტომების წყაროებში მოცემული სხვა დღესასწაულებისა თუ განგებების ჰიმნები, ანთოლოგიის მომდევნო ტომებში დაიბეჭდება.

ხელნაწერებში მოცემული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი სქოლიოებში, გარდა ჩვენ მიერ დარედაქტირებული ზოგიერთი ტერმინისა თუ სიტყვის მოძველებული ან არასწორი ფორმებისა და დიალექტიზმებისა.

სქოლიოებში, ჰიმნთა წყაროების გვერდების მითითებისას, გამოყენებულია პროექტის „ქართული ტრადიციული საგალობლების ხელნაწერთა ბაზა“ ფარგლებში დიგიტალიზებული ხელნაწერების ფოტოების პაგინაცია.[12]

პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, დავეყრდენით, ბოლო საუკუნეებში პრაქტიკაში დამკვიდრებულ „მარხვანს“ და, აგრეთვე, ნევმირებულ ძლისპირთა ძველ ქართულ ხელნაწერს A-603 (კიკნაძე, 1982). ამ წყაროთა მიხედვით გვაქვს გასწორებული ნოტირებულ ჰიმნთა პოეტური ტექსტების გრამატიკული თუ შინაარსობრივი შეცდომები. პოეტური ტექსტების სხვადასხვა წყაროში აღმოჩენილი განსხვავებები (მაგ., მორფოლოგიური) აღნიშნული არ გვაქვს, ვინაიდან ეს სცდება ჩვენს კომპეტენციას და ანთოლოგიის მიზანსა და დანიშნულებას.

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, XXIV—XXV ტომებშიც ვბეჭდავთ ზოგიერთი საგალობლის როგორც ხელნაწერისეულ, ასევე, თანამედროვე საღვთისმსახურო მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენ მიერ რედაქტირებულ ვარიანტებსაც. ასეთ შემთხვევებთან ერთად, XXIV—XXV ტომებში მოცემულია ცალკეული საგალობლის ისეთი „პარალელური“ ვერსიებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ჩვენ მიერ განსხვავებულად დასმული ალტერაციის ნიშნებით განსხვავდებიან.

როგორც მთლიანად ანთოლოგიაში, XXIV—XXV ტომებშიც ჩვენი სარედაქტორო სამუშაო შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რაღა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

საგალობლების ფრაზებად და მუხლებად დაყოფა (ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეების, წყვეტილი თუ მთლიანი ტაქტის ხაზების მეშვეობით) ჩვენი რედაქტირების შედეგია (რადგანაც, ხელნაწერებში, ცეზურები, ძირითადად ფერმატებითაა აღნიშნული, ან არაა მკაფიოდ გამოყოფილი). ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა. ისეთ აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსებს, რომლებიც ხელნაწერში მხოლოდ ქართულადაა ჩაწერილი, ყველგან მივუწერეთ საერთაშორისო, იტალიური შესატყვისი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, XXIV—XXV ტომებში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი

[12] http://folk.gov.ge/baza/

XXIV—XXV ტომებში გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურა, ხელნაწერები და სანოტო გამოცემები

1. Ath. 38 – წმიდა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული „მარხვანი“. დედანი დაცულია ათონის მთაზე;

2. Par-5 – წმიდა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის „მარხვანი“, 1052 წელს გადაწერილი ნუსხა. დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში;

3. Sin. 61 – წმიდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“, XI ს.. დაცულია სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში;

4. კარბელაშვილი, ვასილ (სტეფანე) (1897). *ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი”, „მწუხრი”, ნოტებზე გადაღებული მღვდელი ვასილ კარბელაშვილის მიერ. პირველი ნაწილი.* ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

5. კიკნაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). *ნევმირებული ძლისპირნი: ხელნაწერი A-603.* გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება;

6. *„მარხვანი“, ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი.* სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ქ. ტფილისი: 1901 წელი;

7. სამხარაძე, მონოზონი ნინო (2018). *„შეხვეტილიანის“ ციკლის ისტორიული ჩამოყალიბებისა და მუსიკალური თავისებურებების კვლევის საკითხისთვის“.* ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, უაკ-78. გვ. 63-71;

8. სამხარაძე, მონოზონი ნინო (2019). *„შეხვეტილიანი“ — ვნების პარასკევის დასდებლები ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში (ისტორიული და მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტები).* სამაგისტრო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია;

9. სამხარაძე, მონოზონი ნინო (2022). *„ვნების პარასკევის კონდაკის კვლევის საკითხისთვის“.* გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, მოხსენება ხელნაწერის უფლებით;

10. ქორიძე, ფილიმონ. (1899). *მიცვალებულთა საგალობელი // პარტიტურა №3 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოების ხარჯით, გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან //* ტფილისი : გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ვ. გძელიძისა, 1899;

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

11. ღვთისიაშვილი, მანანა (1999). *„ქართული პასიონის კვლევის პირველი შედეგები“.* თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული. მუსიკისმცოდნეობის საკითხები. თბილისი, 2000.

12. შუღლიაშვილი, დავით (2012). *„ქართული გალობის შესახებ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“.* სტატია წიგნიდან ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი. ტ. V. თბილისი, 2012.

13. შუღლიაშვილი, დავით (2013). *ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი. წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) და წმ. ექვთიმე ალმსარებლის (კერესელიძის) სანოტო ხელნაწერების მიხედვით.* შემდგენლები: ვაჟა გვახარია, დავით შუღლიაშვილი, ნინო რაზმაძე. თბილისი, 2013.

14. ჩხეიძე, თამარ (1999). *„მუსიკისა და სიტყვის ურთიერთმიმართების პრობლემისთვის ქართულ საგალობელში (ტროპრის მეოთხე ხმის საგალობელთა მაგალითზე).* თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული, მუსიკისმცოდნეობის საკითხები. თბილისი, 2000.

XXIV—XXV ტომებში გამოყენებული და დამოწმებული სანოტო ხელნაწერები

